ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე

განმარტებითი ბარათი

1. ბიუჯეტის შემოსულობები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განსაზღვრულია 15 755,8 ათასი ლარით. 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2024 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 2 023,4 ათასი ლარით. საკუთარი შემოსულობები განსაზღვრულია 15 577,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი N04-03/78382 05/10/2023) **11 585.3 ათასი ლარი** (2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 9646.1 ათას ლარს, საგადასახადო შემოსავლები 2024 წლის ბიუჯეტით 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 1939.2 ათასით) **აქედან:**

დამატებული ღირებულების გადასახადი 9185.3 ათასი ლარი (2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 7346.1 ათასი ლარს, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენს 7501,2 ათას ლარს, 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 1839.2 ათასით ხოლო დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 1 684,1ათასი ლარით); ქონების გადასახადი 2 400,0 ათასი ლარი (2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 2300,0 ათას ლარს, გაიზარდა 100,0 ათასი ლარით);

სხვა შემოსავლები 3 582,4 ათასი ლარი (2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 3001.3 ათას ლარს, გაზრდილია 581,1 ათასი ლარით.) **აქედან:**

შემოსავლები საკუთრებიდან - 2 987,4 ათასი მათ შორის: დეპოზიტზე და ანგარიშზე დარიცხული პროცენტები 30,0 ათასი ლარი, რენტა - 2 957,4 ათასი ლარი, მ.შ: მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის სარგებლობისთვის 1300,0 ლარი,

მოსაკრებელი წიაღისეულით სარგებლობისათვის 200,0 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 1 557,4 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავალი შეადგენს 65,0 ათასს ლარს.

ჯარიმები, სანქციები და საურავები 500,0 ათასი ლარი.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 30,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები დაგეგმილია 400,0 ათასი ლარის ოდენობით (2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 800.0 ათას ლარს).

გრანტები გამოყოფილია 178.1 ათასი ლარი აქედან: მიზნობრივი ტრანსფერი 178.1 ათასი ლარი - (დელეგირებული უფლება–მოსილების განსახორციელებლად) რომელიც მიიმართება შემდეგი დანიშნულებით:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 163.1 ათასი ლარი;

ბ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 10,0 ათასი ლარი;

გ) ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარი.

2024 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია 10,0 ლარით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს. მთლიანობაში ნაშთის ცვლილების ჩათვლით 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 15 755,8 ათას ლარს.

2. ბიუჯეტის გადასახდელები.

ბიუჯეტის გადასახდელები გაანგარიშებულია არსებული შტატების, საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსებისთვის საჭირო თანხების, არსებული რესურსებიდან გამომდინარე და გათვლილია სულ: 15 755,8 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაფინანსებაზე დაიხარჯება 5 253,9 ათასი ლარი, მათ შორის: მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსებაზე დაიხარჯება 1 582,7 ათასი და მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება შეადგენს 3 353,0 ათასი ლარს.

მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა და საზოგადოების ინფორმირებაზე დაიხარჯება 10,0 ათასი ლარი;

ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია - 50,0 ათასით;

საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამაზე დაიხარჯება- 38,2 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი მოცულობა განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარი;

მგფ -ის და სხვა ვალდებულებების დაფარვაზე გამოყოფილია 120,0 ათასი ლარი;

პროექტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე (პროგრამული კოდი 02 00) **– 1 190,0 ათასი ლარია მიმართული, აქედან:**

გარე განათების (პროგრამული კოდი 02 02) ხარჯებზე მიიმართება 740,0 ათასი ლარი; მ.შ. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციაზე 130,0 ათასი ლარი; გარე განათების ახალი წერტილების მოწყობაზე 10.0 ათასი ლარი, გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯისთვის გამოყოფილია 500,0 ათასი ლარი. ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის ხარჯები განსაზღვრულია - 100,0 ათაით.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 03) ბიუჯეტის პროექტით 150,0 ათასი ლარია გათვალისწინებული.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენის პროგრამაზე გამოყოფილია 100.0 ათასი ლარი.

საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურების შეძენაზე გაიხარჯება - 200,0 ათასი ლარი.

დასუფთავებასა და გარემოს დაცვის (პროგრამულიკოდი 03 00) პრიორიტეტზე გამოყოფილია **1 660,0** ათასი ლარი. მათ შორი: დასუფთავება და ნარჩენების გატანა 1570,0 ათასი ლარი, ხოლო მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 90,0 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დაიხარჯება (პროგრამული კოდი 04 00) **2 688,0 ათასი ლარი, აქედან** :

ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საამღზრდელო დაწესებულება ,,მომავალი"-ს დაფინანსებაზე 2 563,0 ათასი ლარია განსაზღვრული.

განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამას 100,0 ათასი ლარი მოხმარდება;

არაფორმალური განათლების ხელშეწყობას მოხმარდება- 25,0 ათასი ლარი;

კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00) **3 320,3 ათასი ლარი მოხმარდება, აქედან**: სპორტის განვითარების ხელშეწყობას 1 055,3 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის დაფინანსებაზე – 580,0 ათასი, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო"-ს დაფინანსებაზე - 225,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ რაგბისა და ლელოს კლუბი ,,ჯანი" და ,,ღონე"-ს დაფინანსებაზე მიიმართება - 240,3 ათასი ლარი.

სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობაზე- 20,0 ათასი ლარი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდება 2 180,0 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე – 1250,0 ათასი ლარი დაიხარჯება, ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დაფინანსებაზე – 450,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსებაზე - 480,0 ათასი.

ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობას 20.0 ათასი ლარი მოხმარდება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდება- 5,0 ათასით.

რელიგიის დაფინანსებაზე დაიხარჯება 10,0 ათასი ლარი;

გენდერული თანასწორობა- 40,0 ათასი ლარი აქედან:

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა - 10,0 ათასი ლარი და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება- 30,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00) **დაფინანსდება 1 465,5 ათასი ლარით აქედან :**

- საზოგადოებრივი ჯანდაცვას მოხმარდება 185,6 ათასი ლარი,
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი 600,0 ათასი ლარი ;

- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგული პირების, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის ხარჯი 2,0 ათასი ლარი;
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება 220,0 ათასი ლარი;
- დევნილთა დახმარება 11,0 ათასი;
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 25,0 ათასი ლარი;

- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 350,0 ათასი ლარი;
- ქალთა და ოჯახების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 10,0 ათაი ლარი;
- სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება 240,0 ათასი ლარი.

სულ ჯამში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 15 755,8 ათას ლარს.

პატივისცემით,
მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების თაობაზე

დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებას წარმოადგენს. დადგენილების პროექტი შეესაბამება ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტს, რომელის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის მერი შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომლითაც განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვისა და დამტკიცების წესები.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : **ბექა შენგელია**

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

პროექტი მოამზადა: **მ. გოგოლაძე**